www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს საზღვაო ნავსადგურები და ტერმინალები

2026 წლის I კვარტალი

20.05.2026
www.geostat.ge

20.05.2026

საზღვაო ნავსადგურებისა და ტერმინალების ძირითადი მაჩვენებლები (2026 წლის I კვარტალი)

2026 წლის I კვარტალში საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში შემოვიდა 401[1] გემი, რომელთა 51.6 პროცენტი იყო გენერალური (ზოგადი სახის) ტვირთის გადამზიდი, 19.2 პროცენტი — თხევადი ტვირთმზიდი, 19.2 პროცენტი — კონტეინერმზიდი, ხოლო დანაჩენი 10.0 პროცენტი ნაყარ ტვირთმზიდზე და სპეციალიზებულ გემებზე განაწილდა.

2026 წლის I კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, საქართველოს ნავსადგურებმა და ტერმინალებმა 23.0 პროცენტით ნაკლები თხევადი ტვირთმზიდი მიიღო, 8.7 პროცენტით ნაკლები — სპეციალიზებული, 8.4 პროცენტით ნაკლები — გენერალური (ზოგადი სახის) ტვირთმზიდი გემი, 6.1 პროცენტით ნაკლები — კონტეინერმზიდი, 5.0 პროცენტით ნაკლები — ნაყარი ტვირთმზიდი.

შემოსული გემების რაოდენობა ტიპების მიხედვით,
(ერთეული)



[1]წყარო: სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო

20.05.2026

2026 წლის I კვარტალში საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში შემოსული გემების 18.2 პროცენტი პანამის დროშის ქვეშ დაცურავდა, 13.7 პროცენტი — თურქეთის, 10.0 პროცენტი — ლიბერიის, 7.5 პროცენტი — მალტის, დანარჩენი 50.6 პროცენტი კი სხვა ქვეყნებზე განაწილდა.

საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში შემოსული გემების რაოდენობა რეგისტრაციის ქვეყნების (დროშა) მიხედვით,
(ერთეული)



20.05.2026

2026 წლის I კვარტალში საქართველოს ნავსადგურები 3.2 ათას მგზავრს მოემსახურა, რაც 53.6 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. ამასთან, მგზავრთა ნაკადში გასული მგზავრების წილი აღემატებოდა შემოსული მგზავრების წილს და 55.3 პროცენტს შეადგენდა.

მგზავრთა ნაკადი საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში,
(ათასი კაცი)



20.05.2026

2026 წლის I კვარტალში საქართველოს ნავსადგურებმა და ტერმინალებმა 4 316.9 ათასი ტონა ტვირთი გადაამუშავა, რაც 19.7 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. გადამუშავებული ტვირთის 49.1 პროცენტი გენერალური (ზოგადი სახის) ტვირთი იყო, 30.4 პროცენტი — თხევადი ტვირთი, ხოლო 20.4 პროცენტი — ნაყარი ტვირთი.

გადამუშავებული ტვირთის მოცულობა სახეების მიხედვით,
(ათასი ტონა)



საკონტაქტო პირები:

დავითი ჟორჟოლიანი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (601), E-mail: dzhorzholiani@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge